საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/218 " 9 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 4 დეკემბრის №06-8566 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება პეკინის ქ. №29-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის პირველ სართულზე არსებულ ფართზე (9,15 კვ. მ.) 2021 წლის 1 იანვრამდე, ფართის მესაკუთრე ზაურ ქილიფთართან. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დეპარტამენტისაგან მოითხოვა აღნიშნული ხელშეკრულების ვადის 2 წლით გაგრძელება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მითითებული ფართი თბილისის საქალაქო სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მეიჯარესთან გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით 2 წლის ვადით და საიჯარო ქირა განისაზღვროს 595 ლარით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი